



2010 წლის 22 ივნისს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმყოფებოდა ევროკავშირის ატაშე ფრედერიკ ქუნი, იგი შეხვდა უნივერსიტეტის სტუდენტებს და წარმოადგინა პროგრამის პრეზენტაცია Scholarships For a One-Year Master's Programme in Brussels. პროექტი ითვალისწინებს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის კონკურსს ერთწლიან სამაგისტრო პროგრამებზე ბრიუსელის უნივერსიტეტში. შეხვედრას ესწრებოდნენ: აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი ქ-ნი დალი ხომერიკი, სსუ-ს რექტორი, პროფესორი ჯონი აფაქიძე, საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი, პროფ. მაია დარასელია.